186/
1971/2

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1971 წ.

11719

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

87. რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

88. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ
89. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 13 ივლისის № 362 დადგენილების № 1 და № 3 დანართებში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ
90. ქ. გორის ზოგიერთი ქუჩისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ
91. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ
92. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე
93. სოფლის ჯგუფური წყალსადენებით სარგებლობისათვის ტარიფების დამტკიცებისა და წყლის საფასურის გადახდის წესის შესახებ
94. საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულების გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

95. ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის ფასების შესახებ

96. ქ. ზუგდიდის ზოგიერთი ქუჩისა და მოედნისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

97. ქ. თბილისის მე-9 მუსიკალური სკოლისათვის ე. ს. მიქელაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

98. იმ საქონლის ნუსხის შესახებ, რომლის ფასებს ამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, ქუთაისის და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

87 რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ამონაკრები

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გამოიყოს „მთავარკოლმეურნმშენი" საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობიდან და გარდაიქმნას იგი საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანებად — „საქკოლმეურნმშენად".

დაევალოს გაერთიანება „საქკოლმეურნმშენს" ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად პროექტი დებულებისა საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანების — „საქკოლმეურნმშენის" შესახებ.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე ხუთწლედში მკვეთრად გადიდდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის" პირველი რიგის ამოცანად ჩაითვალოს საწარმოო ბაზის მნიშვნელოვნად გაფართოება, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა, საკედლე მასალებისა და სხვათა დამამზადებელი ახალი საწარმოების მშენებლობა და არსებული ასეთი საწარმოების გაფართოება, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზის გაფართოებასთან და გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის" სისტემის ახალი საწარმოების მშენებლობასთან.

4. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს მათ მიერ მეცხრე ხუთწლედში (1971-1975 წლები) სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული მოგება მოახმარონ საშენი მასალების მრეწველობის საწარმოო ბაზის გაფართოებას და ახალი საწარმოების მშენებლობას.

5. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანების წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას გაერთიანება „საქკოლმეურნმშენთან" საპროექტო ორგანიზაცია „საქკოლმეურნ-

პროექტი", რომელიც დააპროექტებს მშენებლობის ობიექტებს კოლმეურნეობებში.

დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს და საპროექტო ინსტიტუტს „საქსოფლმშენსახპროექტს" განახორციელონ მეთოდური ხელმძღვანელობა „საქკოლმეურნპროექტის" მუშაობისადმი.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააუმჯობესოს კოლმეურნეობებში მშენებლობის შემკვეთის სამსახური, მიიღოს ზომები მშენებლობის ობიექტების დროზე უზრუნველსაყოფად საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციით, სათანადო მასალებითა და მოწყობილობით, გააძლიეროს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მეპაიე კოლმეურნეობათა პასუხისმგებლობა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულებისა და კოლმეურნეობებში საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს:

ა) საჯარო სამუშაოთა გეგმების ფორმირების დროს შეათანხმოს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის" სამშენებლო ორგანიზაციების დატვირთვა და მოქმედების ზონები;

ბ) გაითვალისწინოს, რომ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენს" გამოეყოს საშენი მასალები, მექანიზმები, მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი საკოლმეურნეო მშენებლობისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციების თანაბრად;

გ) მიიღოს ზომები, რათა გამოიყოს დანაკლისი მოწყობილობა და მექანიზმები გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის" რკინა-ბეტონის ნაკეთობათა მოქმედი საწარმოებისათვის მცხეთაში, მახარაძესა და გურჯაანში;

დ) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და გაერთიანება „საქკოლმეურნმშენთან" ერთად ორი თვის ვადაში შეისწავლოს საკოლმეურნეობათაშორისო ცემენტის ქარხნის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხი და წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" უზრუნველყონ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენისათვის" გამოყოფილი ფონდების დროული რეალიზაცია.

9. დაევალოს გაერთიანება „საქკოლმეურნმშენს" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად ააშენოს მიმდინარე ხუთწლედში მცხეთის რაიონში შენობათა კომპლექსი საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსაწყობად, რომელიც მოამზადებს მშენებელთა კადრებს 450 კაცის რაოდენობით საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა აღნიშნული სასწავლებლის მოწყობამდე უზრუნველყოს მშენებელთა კადრების მომზადება საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებში სამუშაოდ გასაგზავნად წელიწადში ას-ასი კაცის რაოდენობით.

10. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობასთან ერთად 1971 წლის დამლევამდე:

ა) დროებით მისცეს გაერთიანება „საქკოლმეურნმშენს“ სათანადო სადგომი საპროექტო ორგანიზაციის „საქკოლმეურნპროექტის“ მოსათავსებლად;

ბ) სხვა სადგომში გადაიყვანოს ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარე გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ № 19 შენობიდან საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება.

11. გაერთიანება „საქკოლმეურნმშენმა“ წილობრივი მონაწილეობა მიიღოს იმაში, რომ აშენდეს ქ. თბილისში საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საინჟინრო-ლაბორატორიული კორპუსი, სადაც მოთავსდებიან „საქკოლმეურნპროექტი“ და საქართველოს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური გაერთიანება.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო შეუდგეს საინჟინრო-ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობას 1972 წელს.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შემოიღოს სტატისტიკური ანგარიშგება გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ სისტემის ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ანგარიშგების დამტკიცებული ფორმების ფარგლებში.

13. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) შეისწავლონ და გადაწყვიტონ თითოეულ რაიონში საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის შექმნის საკითხი და ხელი შეუწყოს კოლმეურნეობათა ფართოდ მოზიდვას საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მეპაიეთა შემადგენლობაში;

ბ) ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს მათს მუშაობაში, გაერთიანება „საქკოლმეურნმშენთან“ ერთად სისტემატურად განიხილონ კოლმეურნეობებში მშენებლობის მიმდინარეობა და მიიღონ კონკრეტული ზომები მისი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 16 ნოემბერი № 562

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

88 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 14 დეკემბრის № 786 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 11 ნოემბერი № 545

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 11 ნოემბრის № 545
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელობას, პასუხისმგებელია რესპუბლიკის ფარგლებში განხორციელებული სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის პროგრამების იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონისათვის, რესპუბლიკაში ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის და მათში გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებათა განვითარებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

— მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების პროპაგანდა;

— მშრომელთა მობილიზაცია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების გავრცელება მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში;

— ბურჟუაზიული იდეოლოგიის, მორალისა და რეაქციული პროპაგანდის მხილება, საბჭოთა ადამიანების აღზრდა კომუნისტური იდეურობისა და მორალის, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მზრუნველობის, კანონიერებისა და სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების დაცვის სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით;

— სკკპ და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ხალხთა მეგობრობისა და სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის გაშუქება, საბჭოთა ხა-

ლხის ცხოვრების, კომუნიზმის მშენებლობაში მიღწეული წარმატებების, კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით სოციალისტური სისტემის უპირატესობათა ფართოდ ჩვენება, იმპერიალისტური სახელმწიფოების რეაქციული საშინაო და აგრესიული საგარეო პოლიტიკის მხილება;

მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის სკკპ ბრძოლის გაშუქება, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მიღწევების, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ხალხთა ბრძოლის პოპულარიზაცია, კაპიტალის ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლისა და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშუქება;

საბჭოთა და უცხოეთის პროგრესული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების, აგრეთვე სამამულო და მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების კლასიკურ ნაწარმოებთა პოპულარიზაცია; ტელემაყურებელთა და რადიომსმენელთა ოპერატიული ინფორმაცია საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ამბების შესახებ;

— რესპუბლიკაში ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა;

— ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვა, წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა საქვეუწყებო საწარმოებში;

— გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულებისა და მისი ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროულად გადაცემა საექსპლოატაციოდ;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა კომიტეტის სისტემაში, საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, კადრების მომზადების ორგანიზაცია და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, კადრების შესწავლა კომიტეტის სისტემაში და პროფესიულად მომზადებულ და პოლიტიკურად მომწიფებულ სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, საკონკურსო სისტემის გამოყენება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დარგში შემოქმედებით მუშაკთა თანამდებობის დასაკავებლად;

— საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი - რადიომაუწყებლობის კომიტეტების მეშვეობით ახორციელებს რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელობას აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე განაგებს უშუალოდ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) მოაწყობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტელე და რადიომაუწყებლობას მისი მოსახლეობისათვის;

ბ) უზრუნველყოფს პოლიტიკურ, ლიტერატურულ-მხატვრულ, მუსიკალურ, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, საბავშვო და ახალგაზრდობის დადგმებსა და გადაცემებს ტელევიზიისა და რადიოსათვის, აგრეთვე ტელეფილმების შექმნას;

გ) დადგენილი წესით მოაწყობს საუკეთესო სატელევიზიო და რადიოგადაცემების, ტელევიზიისა და რადიოსათვის ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებების კონკურსებს, განახორციელებს ტელე და რადიოფესტივალებს;

დ) შესაბამის უწყებებთან ერთად მოაწყობს სასწავლო-საგანმანათლებლო გადაცემებს ტელევიზიითა და რადიოთი;

ე) მოაწყობს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ უმნიშვნელოვანესი მოვლენების, პოლიტიკური, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სამეურნეო მოღვაწეების, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავე ადამიანების, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლების გამოსვლების, აგრეთვე ლიტერატურული, მუსიკალური და სხვა ნაწარმოებების გადაღებას და ჩაწერას ტელევიზიასა და რადიოში გამოსაყენებლად;

ვ) შეიმუშავებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს დასამტკიცებლად სატელევიზიო მაუწყებლობის, რადიომაუწყებლობისა და ფილმწარმოების მოცულობის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აგრეთვე ტელეფილმების წარმოების თემატიკურ გეგმებს;

დაამტკიცებს საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოოსაფინანსო გეგმებს, აგრეთვე მათი სარედაქციო, სამხატვრო-საწარმოო პერსონალისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის სტრუქტურასა და რაოდენობას;

ზ) უზრუნველყოფს იმ ტექნიკურ საშუალებათა სწორად განაწილებას და ეფექტიანად განვითარებას, რომლებიც გამოიყენება ტელე და რადიოგადაცემის შექმნისა და ტელეფილმების წარმოებისათვის კომიტეტის სისტემაში, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინის-

ტროს სისტემის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკურ საშუალებათა დისლოკაციის განსაზღვრაში;

თ) საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან დადებს ხელშეკრულებებს სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის სადგურების, საქალაქთაშორისო ვრხების, საკაბელო და რადიოსარელეო ხაზებისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტელე და რადიოპროგრამების გადასაცემ სხვა ტექნიკური საშუალებების იჯარის შესახებ;

ი) კონტროლს გაუწევს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის პროგრამების მიღების ხარისხს, აგრეთვე იმას, თუ რამდენად სწორად არის გამოყენებული კავშირგაბმულობის სამინისტროსაგან იჯარით აღებული ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ტექნიკური საშუალებანი რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

კ) გამოსცემს დადგენილი წესით ტელე და რადიოპროგრამებს, ჟურნალებს, სპეციალურ ლიტერატურას, აგრეთვე მოაწყობს გამოფენებს ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისა და ბგერათჩაწერის საკითხებზე;

ლ) დადგენილი წესით დააჯილდოებს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით, დიპლომებით და გამოიყენებს სხვაგვარ წახალისებას;

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა კომიტეტზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების, დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების, დირექციების, რედაქციების, განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე კომიტეტის სისტემის ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად, იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რადიომაუწყებლობის კომიტეტებისათვის, კომიტეტის სისტემის ორგანიზაციებისა, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, და შეამოწმებს მათ შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე საჭირო შემთხვევებში რესპუბლიკის სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება კოლეგია კომიტეტის თავმჯდომარის (კოლეგიის თავმჯდომარე) და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

კოლეგიის წევრთა რაოდენობას და მის პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს პროგრამების შინაარსის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ორგანიზაციისა და განვითარების ძირითად საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, თავისი სისტემის ორგანიზაციებისა, საწარმოებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რადიომაუწყებლობის კომიტეტების თავმჯდომარეების მოხსენებებს, დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, დირექციების, რედაქციებისა და განყოფილებების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ხოლო წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის პროგრამების იდეურ-მხატვრული და ტექნიკური ხარისხის უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება სამხატვრო და ტექნიკური საბჭოები, რომლებშიაც შევლენ კვალიფიციური სპეციალისტები, შემოქმედებითი მუშაკები, შემოქმედებითი კავშირებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აღნიშნული საბჭოების შემადგენლობას და მათს დებულებებს დაამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურას, აპარატის მუშაკთა რაოდენობას და კომიტეტის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების საშტატო განრიგს, აგრეთვე მათს დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 13 ივლისის № 362 დადგენილების № 1 და № 3 დანართებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 13 ივლისის № 362 დადგენილების № 1 და № 3 დანართებში და 1971 წლის 1 იანვრიდან არ გავრცელდეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაფის კოლმეურნეობა „აბზანხარაზე" სახელმწიფოსათვის მიყიდული ჩაის, თესლოვანი და კურკოვანი ხილის ფასდაკლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 11 ნოემბერი, № 546

90 ქ. გორის ზოგიერთი ქუჩისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოთ:

— ქ. გორის № 1 საპროექტო ქუჩას — კომპოზიტორ ვანო მურადელის სახელი;

— № 2 საპროექტო ქუჩას — სსრ კავშირის სახალხო არტისტის სერგო ზაქარიაძის სახელი;

— № 3 საპროექტო ქუჩას — ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის სახელი;

— უსახელო ქუჩას (პეტრიაშვილის ქუჩის გაგრძელება, შაუმიანის ქუჩიდან ჯორჯიაშვილის ქუჩამდე) — თინა იოსებიძის სახელი;

— ბამბეულის კომბინატის დასახლების № 9 ქუჩას ეწოდოს კოლხეთის ქუჩა, ხოლო № 4 საპროექტო ქუჩას — ივერიის ქუჩა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 12 ნოემბერი № 552

91 საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ შესრულების ვადა გაუვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 8 მაისის № 257 დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგება საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების ღონისძიებანი, წარმოდგენილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ, დანართის თანახმად.

ამ დადგენილების დანართში ჩამოთვლილ ადგილებში ინერტული მასალების დამუშავება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული სქემის ან პროექტის მიხედვით.

აიკრძალოს 1972 წლის 1 იანვრიდან ქვიშისა და ხრეშის მოპოვება სანაპიროსა და იმ მდინარეების დანარჩენ უბნებზე, რომლებიც ზღვას ერთვიან.

2. დაევალოთ წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გააძლიერონ აფხაზეთის, აჭარისა და ფოთის ზონალური სადგურების ინჟინერ-კონტროლიორთა და უწყებრივი მილიციის მუშაობა პლაჟების დასაცავად, ამასთან არ დაუშვან შემდეგში ხრეშისა და ქვიშის გატანა პლაჟის ზოლის იმ მდინარეთა უბნებიდან, რომლებიც ზღვას ერთვიან.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ პირველ რიგში უზრუნველყონ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების მოთხოვნილება წყურგილისა და ჭოროხის მექანიზებულ ქარხნებში მოპოვებულ ინერტულ მასალებზე, მათი განაცხადების თანახმად.

4. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ 1972 წლის პირველ კვარტალში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, თუ რამდენად შესაძლებელია ქვიშისა და ხრეშის კარიერის მოწყობა დროებითი სქემის მიხედვით კოკის დაზვერილი საბადოს ბაზაზე (მდ. ენგურის რკინიგზის ხიდის ქვემოთ 7 კილომეტრზე).

ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს დაამზადოს ინერტული მასალები და ქვა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ადგილებში სხვა ორგანიზაციებისა და უწყებებისათვის იმ პირობით, რომ დაცულ იქნას ის მოთხოვნები, რომლებსაც ამ კარიერების დამმუშავებელ ორგანიზაციებს უყენებენ.

6. დაევალოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას და ამიერიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მისცეს ორგანიზაციებს ინერტული მასალების მოპოვების ნებართვა პლაჟების დაცვა-შენახვის საზიანოდ.

7. დაევალოს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს დარკვეთის კვარცის ქვიშის კარიერის მშენებლობის მეორე რიგის დამთავრება 1972 წლის პირველ ნახევარში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 18 ნოემბერი, № 555

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 18 ნოემბრის № 555
დადგენილების დანართი

საქართველოს სსრ

შავი ზღვის სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების მოწესრიგების ღონისძიებები

ვინაიდან რესპუბლიკის მშენებლობები სიძნელეებს განიცდიან ქვიშისა და ხრეშის მომარაგების მხრივ, შესაძლებლად ჩაითვალოს ინერტული მასალების მოპოვება 1972-1975 წლებში შავი ზღვის სანაპიროს შემდეგ უბნებზე და იმ მდინარეთა ნარწყულებიდან, რომლებიც ზღვას ერთვიან.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში

— მდინარე ბზიბის მარჯვენა ნაპირის ნარწყულზედა ტერასიდან რკინიგზის ხიდის ქვემოთ იმ საზღვრების ფარგლებში, რომლებიც დაწესებულია დამუშავების პროექტით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ღორღის ქარხნისათვის ვადით 1973 წლამდე, იმ პირობით, რომ 1972 წელს „საქთევზმრეწვს" გადაეცეს უკვე დამუშავებული ტერიტორია მეთევზეობის მეურნეობის მოსაწყობად;

— მიუსერის კონგლომერატების საბადოდან განსაზღვრული რაოდენობით ტრესტ „ბიჭვინთმშენის" საჭიროებისათვის (ნაპირსამაგრი სამუშაოები) იმ პირობით, რომ სამუშაოები შესრულდეს საბადოს დამუშავების დამტკიცებული პროექტის შესაბამისად;

— ზღვის სანაპირო ზოლიდან მდინარე მოქვის შესართავსა და ოჩამჩირის ნავსადგურს შორის მდებარე უბანზე 20 ათას კუბურ მეტრამდე მოცულობით წელიწადში ტრესტ „ნოვოროსიისკმორსტროის" № 9 მცურავი სამშენებლო რაზმის და ოჩამჩირის რაიონის საჭიროებისათვის;

— კონგლომერატების მთის მასივებიდან, რომლებიც მდებარეობენ ბზიბის რკინიგზის სადგურის პირდაპირ გზატკეცილთან და ქ. სოხუმის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში (ბენზინსვეტის რაიონი), ნაპირსამაგრი საჭიროებისათვის;

— მდინარე მაჭარას, კოდორის, ტამიშის, მოქვის, გალიზგის, ოქუმისა და ფშაპის ნარწყულზედა კალაპოტების ტერასებიდან და უძრავი მთელანებიდან, აგრეთვე მდინარე ბელაიას მარცხენა ნაპირის ძველი ტერასიდან გზატკეცილების ზემოთ, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას პლაჟწარმოქმნაში და არ წარმოადგენენ ქვირითის ყრის ადგილებს განსაზღვრული რაოდენობით — ადგილობრივი ორგანიზაციების, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსა და ნაპირსამაგრ სამუშაოთა საჭიროებისათვის;

— წყურგილის მექანიზებული კარიერიდან წელიწადში 400 ათასი კუბური მეტრის მოცულობით — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საჭიროებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ასს რესპუბლიკაში

— მდინარე ჭოროხის ნარწყულიდან — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ინერტული მასალების მექანიზებული ქარხნისათვის წელიწადში 400 ათასი კუბური მეტრის მოცულობით;

— მდინარე აჭარისწყლის ნარწყულიდან წელიწადში 100 ათასი კუბური მეტრის მოცულობით იმ უბნებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ქვირითის ყრის ადგილებს;

— მდინარე ჭოროხის შესართავიდან (წყალქვეშა ფერდობი) წელიწადში 200 ათასი კუბური მეტრის მოცულობით — ბათუმის საზღვაო ნავსადგურისათვის.

სხვა რაიონებში

— ზღვასთან მდინარე რიონის შესართავის რაიონში — განუსაზღვრელი რაოდენობით;

— მდინარე ენგურის ნარწყულში სოფელ კოკის მახლობლად (ზუგდიდის რაიონი) გეოლოგიური მარაგის გამოანგარიშების კონტურებში წლიურად 300 ათას კუბურ მეტრამდე მოცულობით;

— მდინარე ენგურის ნარწყულში რკინიგზის ხიდის ზემოთ — ენგურჰესის მშენებლობისა და ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის წელიწადში 300 ათას კუბურ მეტრამდე მოცულობით;

— მდინარე ენგურის შესართავიდან 75 ათასი კუბური მეტრის რაოდენობით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წყალსადენისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**.

117/9

92 იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილებით დამტკიცებულ იმ დოკუმენტების ნუსხას, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე, დაემატოს პუნქტი 40[1] შემდეგი შინაარსისა:

„40[1]. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ჯარის ნაწილების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების დოკუმენტებით იმ პრაპორშჩიკებისა და მიჩმანებისაგან პირვანდელ მოსაწყობად მიცემული ერთდროული დახმარებისა და ტანსაცმლის ღირებულების გადახდევინების შესახებ, რომლებიც დათხოვილი არიან ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან იმ ვადაზე ადრე, რომლითაც ისინი ჩარიცხული იყვნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდადებასთან დაკავშირებით (მათ შორის პირობით მსჯავრდადებასთან დაკავშირებით) და ისეთი საქციელისათვის, რომელიც სახელს უტეხს სამხედრო მოსამსახურის წოდებას.“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 30 ნოემბერი, № 575

93 სოფლის ჯგუფური წყალსადენებით სარგებლობისათვის ტარიფების დამტკიცებისა და წყლის საფასურის გადახდის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ტარიფები საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სოფლის ჯგუფური წყალსადენებიდან მიწოდებულ წყალზე, დანართის თანახმად.

2. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 დეკემბრის № 676 დადგენილებით სოფლის ჯგუფური წყალსადენების შიდა ქსელი რჩებათ საექსპლოატაციოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და ამავე დროს წყალსაზომების საშუალებით წყლის აღრიცხვა არ არის მოწესრიგებული, როგორც გამონაკლისი, ნება დართულ იქნას, რომ 1971—1973 წლებში:

ა) კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა მათი საჭიროებისათვის დახარჯული წყლის საფასური ხელშეკრულების საფუძველზე გადაუხადონ სოფლის ჯგუფური წყალსადენების ექსპლოატაციის სამსახურის ორგანიზაციებს;

ბ) კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებმა მათ მიერ დახარჯული წყლის საფასური დადგენილი ტარიფებით გადაუხადონ შესაბამის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც ურთიერთანგარიშსწორება მოახდინონ წყალსადენების ექსპლოატაციის ტერიტორიულ სამმართველოებთან;

გ) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობისაგან, რომელიც არ მუშაობს ამ მეურნეობებში, მიწოდებული წყლის საფასურის მიღება დადგენილი ტარიფის მიხედვით უზრუნველყონ სოფლის წყალსადენების ექსპლოატაციის სამსახურის ორგანიზაციებმა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების დახმარებით.

3. დაევალოთ სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს დაუგზავნონ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს სათანადო მითითება დახარჯული წყლის საფასურის გადახდის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტს 1972 წლის ანგარიშების საფუძველზე შეამოწმოს სოფლის ჯგუფური წყალსადენების რენტაბელობა დამტკიცებული ტარიფების გამოყენების პირობებში და საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს წინადადებანი მათი გადასინჯვის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 2 დეკემბერი, № 579

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 2 დეკემბრის № 579
დადგენილების დანართი

ტ ა რ ი ფ ე ბ ი

სოფლის ჯგუფური წყალსადენების სასმელ წყალზე

წყალსადენების ტერიტორიული (ჯგუფური) სამმართველოების დასახელება	წყალსადენების დასახელება	ტარიფები 10 კბმ მან. კაპ.	
		მოსახლეობისათვის	დანარჩენი მომხმარებლებისათვის
1. ქობულეთის	ოჩხამურის	0-80	1-49
	ურეკის	0-80	1-40
2. ახალქალაქის	ჩუნჩხოს	0-20	1-20
	იხტილა-კოტელიას	0-20	1-20
	ბურნაშეთის	0-20	1-20
	იხტილა-ხანდოს	0-20	1-20
3. გარდაბნის	ქსოვრის-ვარდისუბნის	0-20	1-70
	გომარეთ-მამულოს	0-20	2-20
4. წნორის	ახალსოფლის	0-20	1-70
	შრომის	0-20	0-96
	ცოდნისკარის	0-20	0-96
	ნინიგორის	0-20	0-96
5. გორის	ახალქალაქის	0-20	1-50

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

94 საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულების გამოყენების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 6 თებერვლის ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულების გამოყენების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 6 დეკემბერი, № 585

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 6 დეკემბრის № 585
დადგენილებით

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულების გამოყენების შესახებ

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი, რომელიც, საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულების თანახმად, გამოიკიდება შენობებზე, საზღვაო და სამდინარო გემებსა და სხვა გადასაყვან საშუალებებზე (დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად), ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის აღწერილობას საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულების მე-2 მუხლში.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი გამოიკიდება საცხოვრებელ სახლებზე 25 თებერვალს, 8 მარტს, 22 აპრილს, 1, 2 და 9 მაისს, 7 და 8 ნოემბერს და 5 დეკემბერს, აგრეთვე სხვა უქმე და საზეიმო დღეებში, როდესაც საქართველოს სსრ სახელმწიფო ალამი, საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, გამოიკიდება რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს შენობებზე.

3. საქართვლოს სსრ სახელმწიფო ალამი, საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულების მე-4 მუხლში ჩამოთვლილ შენობებზე, 25 თებერვლის, 8 მარტის, 22 აპრილის, 1, 2 და 9 მაისის, 7 და 8 ნოემბრის და 5 დეკემბრის გარდა, გამოიკიდება უქმე და საზეიმო დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მითითებებით ან მათი ნებართვით.

4. საწარმოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შენობებზე საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის გამოკიდებისათვის, საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის დებულებაში აღნიშნული მოთხოვნებისა და ამ ინსტრუქციის დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ხოლო საცხოვრებელ სახლებზე გამოკიდებისათვის — სახლთა მმართველებს და სახლთა მფლობელებს (პირადი საკუთრების სახლებისა).

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის გამოკიდება ცერემონიებისა და სხვა საზეიმო ღონისძიებების დროს, რომლებსაც სახელმწიფო დაწესებულებები ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ, ხდება ზემდგომი დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნებართვით.

6. იმის მეთვალყურეობა, რომ ზუსტად შესრულდეს დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის შესახებ და ეს ინსტრუქცია საქართველოს სსრ ფარგლებში, ეკისრებათ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

95 ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის ფასების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1971 წლის 1 ოქტომბრიდან ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის ფასები დანართის თანახმად.

2. წითელი მეგრული და ხევსურული ჯიშების სანაშენო პირუტყვის ფასები გათანაბრდეს კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხის ფასთან, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოხსენებული დადგენილებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 2 აპრილის № 181 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 6 დეკემბერი, № 586.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1971 წლის 6 დეკემბრის № 586
დადგენილების დანართი

ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის ფასები

ცოცხალი წონის 1 კგრ.
(მან. და კაპ.)

1. ფური და ფურ-კამეჩი, რომლის საშუალო სადღეღამისო წველადობაა 10 კგ და მეტი	2—00
უშობელი	1—80
2. ნერბი და თხა:	
I ზონის რაიონებში	1—70
II „ „	1—50
III „ „	1—10

შენიშვნა: დეკეულისა და ფურ-ზაქის ფასები ისაზღვრება მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

96 ქ. ზუგდიდის ზოგიერთი ქუჩისა და მოედნისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და ქ. ზუგდიდის ზოგიერთ ქუჩასა და მოედანს მიეკუთვნოთ შემდეგი სახელები:

—ცელულოზის ქუჩას ეწოდოს ვოროშილოვის ქუჩა;

— სტადიონის ქუჩას — პავლოვის ქუჩა;

— ენგურჰაღალდკომბინატის ახალ დასახლებაზე მდებარე ქუჩას — საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ქუჩა;

— სტახანოვის ქუჩის მე-5 შესახვევს — კოტე მარჯანიშვილის ქუჩა;

— ტრანსპორტის ქუჩას — ფიროსმანის ქუჩა;

— ჩხოუშის ქუჩას — ტარას შევჩენკოს ქუჩა;

— ახალსოფლის ქუჩას — აკადემიკოს ანთელავას ქუჩა;

— კუიბიშევისა და გაბაშვილის ქუჩების შესახვევების გადამკვეთ ქუჩას — ანტონ ფურცელაძის ქუჩა;

— სამგზავრო ავტოსადგურის წინ მდებარე მოედანს — იური გაგარინის მოედანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წლის 30 დეკემბერი. № 619.

97 ქ. თბილისის მე-6 მუსიკალური სკოლისათვის ე. ს. მიქელაძის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შუამდგომლობა და დაარსებიდან 50 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით მიეკუთვნოს ქ. თბილისის მე-9 მუსიკალურ სკოლას ცნობილი ქართველი დირიჟორის ევგენი სიმონის ძე მიქელაძის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 30 დეკემბერი, № 620

ეროვნული ბიბლიოთეკა

98 იმ საქონლის ნუსხის შესახებ, რომლის ფასებს ამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, ქუთაისის და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი:

— დაამტკიცებენ იმ საქონლის საცალო და საბითუმო ფასებს, რომელსაც გამოიმუშავებენ ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოები, რომელზედაც არ არის შემოღებული ერთიანი სახელმწიფო საბითუმო და საცალო ფასები, ან არ ვრცელდება სახელმწიფო მრეწველობის საწარმოებისათვის დაწესებული ფასები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

— დაამტკიცებენ იმ პროდუქციის საბითუმო და საცალო ფასებს, რომელსაც გამოიმუშავებენ ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოები (მათი დაქვემდებარების მიუხედავად), საკუთარი დამზადების ნედლეულისაგან, უტილისა და ნარჩენებისაგან (ავეჯისა და საშენი მასალების გარდა), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

— გამოიტანენ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისათვის დამტკიცებული საბითუმო და საცალო ფასების პრეისკურანტები გავრცელდეს ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების მიერ დამზადებულ ანალოგიურ ნაკეთობებზე;

— დაამტკიცებენ კარტოფილისა და ბოსტნეულის საცალო ფასებს არა უმეტეს იმ ზღვრული საცალო ფასებისა, რაც დაწესებულია საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ;

— დაამტკიცებენ საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ფასებსა და ტარიფებს, რასაც მოსახლეობას უწევენ ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის კომუნალური საწარმოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და რაზედაც არ არის შემოღებული ერთიანი ფასები და ტარიფები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

2. თბილისის, ქუთაისის და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომები ფასების კომიტეტის წარდგენით:

— დაამტკიცებენ იმ საქონლის საბითუმო და საცალო ფასებს, რომელსაც გამოიმუშავებენ ადგილობრივი საქალაქო დაქვემდებარების საწარმოები და რომელზედაც არ არის შემოღებული ერთიანი სახელმწიფო საბითუმო და საცალო ფასები, ან არ ვრცელდება საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური

მრეწველობის საწარმოებისათვის დაწესებული ფასები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

— გამოიტანენ გადაწყვეტილებებს იმის შესახებ, რომ გავრცელდეს საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობისათვის დამტკიცებული საბითუმო და საცალო ფასების პრეისკურანტები ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების მიერ დამზადებულ ახალოგიურ ნაკეთობებზე.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს საცალო ფასების დაწესებისას მტკიცედ დაიცვან სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სტაბილობა, არ დაუშვან სიჭრელე ისეთი ერთგვაროვანი და ანალოგიური საქონლის ფასებში, რომელსაც საქართველოს სსრ საწარმოები უშვებენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1971 წ. 30 დეკემბერი, № 625

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 1971 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IV-1972 წ. ქაღალდის ფორმატი 70 × 108[1]/16,
საბეჭდი თაბახი 1,75 სააღრიცხვო თაბახი 1,33

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა 193 უე 05289 ტირაჟი 2000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.